ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა **1901** პარასკევი, 9 ნოემბერი № 1636

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе».** ტელეფონი № 372.

კვირას, 11 ნოემ **ქართული თეატრი** ბერს 1901 წელს

[illegible]

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

პირველად მ. ძ. **საფაროვ აბაშიძის** მონაწილეობით

ორი ობოლი

მელოდრამა 5 მოქ. დენიერისა, თარგ. ა. ცაკარლის-მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. საფაროვი-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, კარართელი, ნებიერიძისა, მდივანი და ლეჟავა. ბ.ბ. გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, იმედაშვილი, ურუშაძე, მირიანაშვილი ჵ სხ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე.

ადგილების ფასები: გალერეა 20 კაპ., პარტერი—50 კაპ., ლოჟა—3 მან.

მზადდება **ალ. ჩერქეზიშვილის სასარგებლოდ** ახალი პიესა ოსტროვსკისა „**მგლები და ცხვარნი**“.

რეჟისორი **ვ. გუნია.**

[illegible]

კბილის საექიმო კაბინეტი
ელისაბედ რომანიშვილისა

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათ. და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე. ოლგინის ქუჩის დასწვრივ ვერის თავდაღმართზე, ოსიფოვის სახლი № 1.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჯიჯიძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ი. ვ. ფიოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

მქ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.

ა. ზ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ს. ა. ვოინო.—ხირურგიული, ხუთშაბათობით და შაბათობით 1—2 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^1/_2$—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10 12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით, ერთი კრაოტი ღარიბთათვის: უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ

ტელეფონი № 274. (წლ.)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი ტელეფონი. 791.

გამოფენაზე,

მალე დახურვისა გამო იყიდება მცენარეულობა საბაღოსნო დაწესებულების „როკვეისა“ ფასების დაკლებით. (2—1)

ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ ნოემბრის 11 დღეს, დილის 11 საათზე, სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის დარბაზში დანიშნულია საზოგადო კრება. მოსახდენია: 1) არჩევანი გამგეობის სამის წევრისა და მათის კანდიდატებისა, 2) არჩევანი სარევიზიო კომისიის ერთის წევრისა; 3) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა. (3—1)

კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში იყიდება სამი წლის ხეხილის ნერგები. ვაშლის ხისა—წითელი, თეთრი და ყვითელი კალვილი, ანტონოვკა, სინოპო და რენეტი; მსხალი—ალექსანდრეული და ზამთრის გულაბი; ატმები. ფასები ხელ მისაწვდომია. (3—1).

მთავრობის განკარგულებანი

სამხედრო უწყებას:

თერგის ყაზახთა პირველ ბატარეის ხორუნჟი თავ. ნიკოლოზ ამილახვარი გადაყვანილ იქმნა ლეიბ-გვარდიის თერგის ყაზახთა ცხენოსან ჯარში.

კავკასიის სამხედრო ოლქის საინტენდანტო სამმართველოს ჟურნალისტის თანაშემწეს ნაცვლიშვილს ებოძა კოლეჟსკი ასესორობა. ცალკე სამუშავრების გამგეობის მოხელეს სარაჯიშვილს—კოლეჟსკი სეკრეტრობა.

სამოქალაქო უწყებას:

შორაპნის მაზრის მესამე განყოფილების მომრიგებელი შუამავალი ტიტულიარნი სოვეტნიკი თავ. ი. აბაშიძე, თანახმად თავისისავე თხოვნისა, დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან. ერევნის საგუბერნიო სამმართველოს მოხელე გიორგი ჩხარტიშვილი ჩარიცხულ იქმნა ნამდვილ კანცელარიის მოხელედ ნამდვილ სამსახურში.

მკითხველთა წერილები

იმის შესახებ, თუ როგორ მოიხმაროს თავად-აზნაურობამ უმაღლესად ნაბოძები ფული

III

ყველა იარაღს, ყველა საშუალებას თავისი დანიშნულება აქვს და ადამიანმა დროს ანუ გაჭირვების მიხედვით უნდა მოიხმაროს ეს იარაღი. ფული როგორც ცხოვრების ერთ-ერთი საშუალება, თხოულობს გონივრულ მოხმარებას.

რესკრიპტი ვალად სდებს ჩვენს თავად-აზნაურობას, რომ ნაბოძები ფული იქნას დახარჯული სპეციალურ დანიშნულებისათვის: ეს ფული უნდა მოხმარდეს მათი შვილების სწავლა-განათლების საქმეს. ამ გვარად თვით მთავრობამ განმარტებული საფუძველი დაუდვა თავისს ნაბოძარს, მაგრამ, მინამ ფულს რომელიმე გზა მიეცემოდეს, საჭიროა ადამიანი ღრმად დააკვირდეს თავისს ქვეყნის ცხოვრებას, აშკარათ და თვალ-ნათლად გამოირკვიოს და დაინახოს ამ ქვეყნის ძირეული მოთხოვნილებანი; ამასთანავე მოთავე ადამიანი აკვირდება განათლებულ ხალხის საქმის კეთებას, მათ ცხოვრების მთელ მოძრაობას. ეხლანდელ დროში რომელიმე ხალხის თავისებური, სრულებით განცალკევებული მსვლელობა-ვითარება ყოვლად შეუძლებელია... მაგრამ ისიც უნდა ითქვას: ზოგიერთა ერი იმნაირ მდგომარეობაში იმყოფება, რომ მის ცხოვრების რომელიმე მხარეს თავისი ელფერი, ბეჭედი ედება და თავისებურ ყურადღებას ითხოვს. ჩვენი ხალხი ერთ-ერთ ამ ერთთაგანია...

ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს სახეში შემდეგი ფიზიკური კანონი: რაც შეიძლება ნაკლები შრომა, ენერგია, და რაც შეიძლება მეტი და კარგი თვისების ნაყოფი. ამ კანონს უნდა დაემორჩილოს ნაბოძები ფულის გამოყენებაც

რა ხარისხის სწავლა უფრო საჭიროა დღეს ჩვენთვის: მეცნიერული (ეგრედ წოდებული „უმაღლესი“), თუ საშუალო ან ნორმალური (დაბალი სკოლების)? სწავლა ის დაუშრეტელი წყაროა, ის გაუცვეთელი და მოუღლელი იარაღია, რომლის შემწეობით ცოდნის მქონი თამამად გამოდის ცხოვრების სარბიელზე და გაბედვით ითხოვს თავისს არსების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ხოლო უნდა ითქვას, რომ ყველა ხარისხის სწავლა ერთნაირ სითამამეს და გამჭრიახობას არ აძლევს ადამიანს. რა ცოდნას შეიძენს ჩვენი მოზარდი თაობა დაბალ სკოლებში? ეს ცხადია უფრო იმათთვის, ვინც სერიოზულად დაჰკვირვებია სოფლის სკოლების პროგრამას და საზოგადოთ დაბალ სკოლებისას. რა დაევალება და მოეთხოვება იმ სკოლას, საიდანაც „კურს დამთავრებულ“ ბავშვს (3—4 წლის განმავლობაში) ვერ გამოაქვს არითმეტიკის ოთხი მოქმედების ფართო ცოდნაც? ამ სკოლებში მოსწავლეს ვერ შეუთვისებია რიგიანი ქართული კითხვაც!.. ამიტომ დაბალ სკოლების შესახებ ვტოვებთ ლაპარაკს; ეს მეტად მიგვაჩნია...

რაც შეეხება საშუალო სკოლებს, ამათ შეიძლება შევხედოთ ორი მხრიდან: ჯურისა (ტიპისა) და საზოგადოთ სწავლისა; და ამიტომ ვიკითხავთ: როგორი სკოლა უფრო საჭიროა ჩვენთვის—სპეციალური (მაგალ. აგრონომიული), თუ ზოგადი ხასიათისა (მაგალ. რეალური)? საზოგადოდ საშუალო სკოლა იძლევა ერთობ მცირე ცოდნას და ამასთანავე უმეტეს ნაწილად მოკლებულია ხოლმე მეცნიერულ ძირითადად დასაბუთებას. ასე რომ ხსენებულ სკოლიდან მოსწავლეს არ გამოაქვს მეცნიერული ფართო ცოდნა: მოწაფე რჩება „შუა გზაზე... მცირე ხნის განმავლობაში ბევრს ჰკარგავს თავის ცოდნის საუნჯიდან... ყველა ამ მიზეზის გამო, საშუალო სკოლის „კურსოვნიკი“ გაუბედავად ეპოტინება ცხოვრებას და ბოლოს—რის ვაი-ვაგლახით—შოულობს რომელსამე დაწესებულებაში მცირე ადგილს. ამ გვარი პირების ერთად ერთი ღონისძიება ცხოვრებაში—კანცელარიის შრომაა, რომლის შემდეგ ხავს-მოკიდებულნი თავით ფეხებამდის ესალმებიან ამ წუთის სოფელს... „კურს დამთავრებული“ იმდენათ უძლურია, რომ თავის თავი ვერ წარმოუდგენია უსამსახუროთ და, როგორც შედეგი ამისა, ვეღარც კი იცავს თავის პიროვნებას შელახვისაგან ადგილის დაკარგვის შიშის გამო. ამით აიხსნება, რომ მოხელეები, თავის უმრავლეს წილში, წარმოადგენენ ცხოვრების უმოძრაო და შემაფერხებელ ელემენტს და საჭირო ნიადაგს ძალის მქონებელთა მოქმედებისათვის. ერი რას უნდა მოელოდეს ამ პირებისაგან.—ეს ცხადია... ამიტომ ვფიქრობთ, რომ ნაბოძებ ფულების დახარჯვა ამ გვარ სკოლებზე იმ ნაყოფს არ მოიტანს, რა ნაყოფიც ჩვენთვის უფრო საჭიროა დღეს. მაინც-დამაინც, თუ არჩევანი მისდგა საშუალო სკოლაზე, მაშინ ჩვენ ვარჩევთ საშუალო ან დაბალ სპეციალურს, სახელდობრ, **აგრონომიულს სამთო განყოფილებით.** ხოლო ეს სკოლა იქნება კაცებისათვის და უეჭველად უნდა **დაარსდეს პროვინციაში.** ვამბობთ პროვინციაში იმიტომ, რომ თვით ჩვენი ხალხიც,—ძალა-უნებურად ახ განგებ,—შეიძენს საჭირო ცოდნას და ნელ-ნელა შეიტანს თავის ცხოვრებაში მატერიალურ კულტურის უკეთეს პირობებს. ამ გზით სკოლა მიახწევს ორ მიზანს: თავად-აზნაურობის შვილები მიიღებენ **საჭირო სპეციალურ სწავლა-განათლებას** და გარშემო მცხოვრები **ხალხიც მიეჩვევა სწავლას და მის გამოყენებას ცხოვრებაში.**

მიუხედავათ ამისა, ჩვენი სიმპატია სხვაგვარ სწავლისაკენ მიისწრაფვის. მკითხველის ყურადღებას ვაქცევთ **მეცნიერულ ცოდნის** ანუ „უმაღლეს“ სწავლის მნიშვნელობაზე. ჩვენი ქვეყანა—ყველამ ვიცით ეს—ჩვენთვის დიდი ამოცანაა. არა გვაქვს გამოკვლეული და შესწავლული ჩვენი ქვეყნის ბუნებური სიმდიდრე: არ ვიცით, რა ნაირი ნიადაგი აქვს ჩვენ მიწას სხვა-და-სხვა კუთხეებში, რა თვისების ჰავაა... და ამის დაკვალად როგორ შემუშავდეს მიწა... არა ნაკლები შრომა დასჭირდება მადნეულობის და სხვების გამორკვევას. დიდს შრომას და შესწავლას თხოულობს აგრეთვე ჩვენი ერის წარსული, აწმყო და დაახლოვებით გათვალისწინება მომავლისა.

ერის და მის ტერიტორიის ძირეულად შესწავლას ან მის რომელიმე მხარის ღრმათ გამოკვლევას, როგორც ზემოთაც ითქვა, დიდი შრომა, მხნეობა და დიდი ცოდნა უნდა. აშკარა საქმეა: როდესაც შრომას თავისი შესაფერი ნაყოფი მოსდევს, მაშინ ადამიანი უფრო ენერგიულად ეკიდება თავის საგანს და შეიყვარებს მას კიდეც. ამ გვარ მუშა და მცოდნე პირებს იძლევა მეცნიერული ანუ „უმაღლესი სწავლა. მეცნიერულ მოძღვრებით აღჭურვილი ახალგაზდობა დიდი იმედებით ბრუნდება თავის ქვეყანაში უცხოეთიდან ჵ თუ დღემდის ამ ახალგაზდობამ თვალ-საჩინო არა შესძინა-რა თავის ქვეყანას, ეს გარემოება გულს არ უნდა გვიტეხავდეს და არ უნდა გვაცვლევინებდეს აზრს ახალგაზდობის შესახებ. თუ რომელიმე პირს რაიმე მნიშვნელობა აქვს ცხოვრებაში, ისტორიაში,—ჩვენი აზრით-კი დიდი მნიშვნელობა აქვს,—ეს პირი ენერგიისა და ცოდნის მქონეა; და მეტი ცოდნა აძლევს ამ პირს მეტ გაბედულებას, მეტს საბუთს, რომ ცხოვრებას წინ გაუძღვეს... დიდ სწავლას უფრო ღრმა და განვითარებული თვით-შეგნება შემოაქვს ცხოვრებაში. ყოვლად შეუძლებელია, რომ ამ ნაირ მოვლენამ შესაფერი ნაყოფი არ მოუტანოს ხალხს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის რწმენის შედგენაში... მაინც-და-მაინც, როგორც უნდა იფიქროთ მეცნიერულათ განათლებულ ახალგაზდობაზე, **მომავალი მისია; და რაც უფრო ფართო და ღრმა ცოდნა**

ექნება ჩვენ ახალგაზრდობას და რაც უფრო გაზვრდება ამათი რიცხვი, მით დიდ მოგებაში იქნება ჩვენი ქვეყანა.

ყველა ამის შემდეგ, აშკარად ჩანს ჩვენი მიზანი: **ნაზოძები ფული უნდა მიიმართოს «უმაღლეს» სწავლისაკენ.** თავად-აზნაურობა დიდ ცდაში უნდა იყოს, რომ თავის შვილებს მეცნიერული სწავლა მიაღებინოს რუსეთში იქნება ეს, თუ დასავლეთ ევროპაში. ამ სახით, ჩვენთვის სულ ერთია—კაცი თუ ქალი გაიგზავნება უმაღლეს სასწავლებელში. **ხოლო მარტო ერთ სქესზე მოხმარება ამ ფულისა,** ეს-ჩვენი ღრმა რწმენით, **დიდი უსამართლობა იქნება.**

დ. საგირთელი.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

7 ნოემბერი

ვაშინგტონი. რუსეთის ელჩი გრაფი კასინი სადარბაზოდ იყო სტატს-სეკრეტარ გეისთან. ელჩს მინდობილი აქვს გარდასცეს, მისი უდიდებულესობის სახელით, მეგობრული განწყობილებანი იმპერატორის ნიკოლოზისა შეერთებულ შტატებისადმი. ელჩი, გარდა ამისა, პირად გადასცემს პრეზიდენტს რუზველტს, მისი უდიდებულესობის სახელით, ღრმა მწუხარებას მაკკინლეის გარდაცვალების გამო.

ლონდონი. კემპბელ ბანერმანმა გუშინ პლიმუტში სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც გამოხატა, რომ ჯემსონის თავდასხმა არასოდეს არ მოხდებოდა, თუ რომ მმართველობის სათავეში ყოფილიყო ლიბერალური მთავრობა. იმას არა სჯერა ის შეთქმულება, რომელსაც მიზნადა ჰქონდა ინგლისელების განდევნა; ისა ფიქრობს, რომ ყველა ეს შემდეგ არის მოგონილი სულმოკლეების დასამშვიდებლად და კიდევ იმისთვის, რომ ინგლისში ჩაეჩუმებინათ ოფიციალური პირნი. ორატორი უარსა ჰყოფს იმას, რომ მას როდისმე წარმოეთქვას ისეთი სიტყვა, რომელიც მიღებული ყოფილიყოს თვით შორს გამჭვრეტი კაცისაგანაც კი ბურების წამაქეზებელ სიტყვად; ის მხოლოდ უჩვენებს იმ უაზრო მოქმედებას, რომლითაც მთავრობამ მიმართა ბურების საქმეს. შემდეგ კემპბელ-ბანერმანმა აღნიშნა, რომ განსაცდელი, რომელიც ეხლა ინგლისს მოელის, არ ასცდება მას, ვიდრე ახალშენების სამინისტროს სათავეში იდგება ჩემბერლენი და პრეტორიაში იქნება მილნერი. დასასრულ ორატორმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ინგლისი ვალდებულია, ამ სიკერპით გაჭიანურებულ ბრძოლასთან ერთად, წარმოსდგეს, რაკ კი შესაძლებელია, შესარიგებელი წინადადებებით.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ჩინეთი. ურიავ, ღმერთს ნუ ჰფიცავ, არა, ღმერთმან იცის! ისეა ჩინეთის საქმეც. ძლიერ უშლიან ევროპიელები, იარაღს ნუ იყიდით, მაგრამ ჩინელები თავისას არ იშლიან და დიდ-ძალი იარაღი შეაქვთ თურმე ევროპიდან და ამერიკიდან. ჩინელები მიჰხვდნენ, რომ ევროპის ძალას ეს იარაღი შეადგენს და ამიტომ თითონაც დიდის სისწრაფით იძენენ ამ იარაღს. მართალია, სახელმწიფოებმა აუკრძალეს, მაგრამ უცხოეთის იარაღის ქარხნის პატრონები არად აგდებენ ამ აღკრძალვას და დიდის ხალისით ჰგზავნიან ჩინეთში იარაღს. ან კი რა ჭკუა იქნება, რომ არ მიჰყიდონ იარაღი? ჩინელები უიარაღოდ არ დადგებიან და თუ ევროპიდან არ შეიტანეს, თითონ დაამზადებენ შინა. აი რასა სწერენ გაზ. «ტაიმს»-ს.

«მდინარე იანძეს ველში ყველა იარაღის ქარხნები სულ უსვენებლივ მუშაობენ. ხანკოუს თოფ-ხანაში 2000 მუშა ზარბაზნებსა მაუზერის თოფებსა და დიდ-ძალ სამხედრო სურსათს და თოფის უბოლო წამალს ამზადებს. შანჰაის არსენალში 2,500 მუშა მსწრაფლ-მსროლელ ზარბაზნებსა, მაუზერის თოფებს, სამხედრო სურსათს, თოფის უბოლო წამალს და ყუმბარებს ამზადებს. ამბობენ, ევროპიელი მექარხნეებიც დიდ-ძალ იარაღს გამოჰგზავნიანო. ჭენტუს იარაღის ქარხანაშიაც, სეჩუანს ახლო, დიდი მუშაობაა თურმე.»

ასეა: დათვმა კბენა არ იცოდა, კატმა ასწავლაო. თავიანთვის სცხოვრებდნენ ჩინელები, არავის არას უშავებდნენ, მაგრამ ევროპიელებმა მიუსიეს თავიანთი მოგზაურები, მისიონრები და ეს უწყინარი ძროხა ხალხი გააღვიძეს, კბენა ასწავლეს. სიზმარშიაც კი სულ იარაღი და ჯარი აგონდებათ ჩინელებს. როცა პრინცი ცუნი გერმანიაშია მოგზაურობდა, ყველაზე მეტ ყურადღებას თურმე იარაღსა და ჯარს აქცევდა, ყველაზე წინ კრუპპის ზარბაზნების ქარხანა დაათვალიერა. გერმანიის იმპერატორს ჭკუაში არ მოუვიდა პრინცის ესეთი ცნობის-მოყვარეობა და სასწრაფოთ გერმანიიდან ჩინეთში გაისტუმრა. ერთის სიტყვით, ჩინეთი კბილებს ილესავს და მალე უკბენს კიდეც ვისმე. ვნახოთ, მხოლოდ ვის უკბენს ყველაზე წინ. თუ უცხოეთის გაზეთებს დაუჯერებთ, ჩინეთი ყველაზე უწინ ჩრდილოელ მეზობელს მოსთხოვს ცოტა რამ ანგარიშსაო, ყველაზე ძლიერ ამ მეზობელმა ატკინა გულიო. გაზეთ «ტაიმს»-ს სწერენ ამის თაობაზე:

«იანძეს ველის მეფის მოადგილეები დიდ პროტესტს აცხადებენ, მანჯურიას ნუ დავანებებთ რუსეთსაო, მაგრამ ეჭვი არაა, რომ ხალხის უმეტესობას არ ესმის ეს საქმე და არაფრად აგდებს მანჯურიაში რუსების ბატონობას. მანჯურია ჩინელებისათვის უცხო ქვეყანაა.»

ჩრდილოელ მეზობელს უკბენს ყველაზე წინ, თუ სხვა ვისმე, ეს კი უნდა ვიცოდეთ, რომ რიგზე შეიარაღდა და ჯარი ევროპიულად მოაწყო, ჩინეთი ყველას გასწვდება და ყველას რიგიან პასუხს გასცემს.

ოსმალეთი. ისეთ ყოფაშია ეს ქვეყანა, რომ კაცს შეებრალება სწორედ. ყველა ამას მიგსია, ყველა ამას ჩასციებია. ერთმა პირმა ცხვარმა ხეს შეჰბღავლა და ხე გაახმაო. ოსმალეთს კიდევ ერთი პირი მგელი შეჰღმუის ნიადაგ, და რაღა გასაკვირველია, რომ თავისი დაემართოს. საფრანგეთი ძლივს დააკმაყოფილა, ეხლა კიდევ სხვა სახელმწიფოები ჩასციებიან, ჩვენ რაღა ნაკლები ვართ, ჩვენი მოთხოვნილებაც უნდა შეასრულოო. «ფრანკ ფურტერ ცაიტუნგა»-ს სწერენ რომიდან:

«აქაურ პოლიტიკურ წრეებში ხმა დადის: სამთა კავშირის სახელმწიფოებმა მოსთხოვეს ოსმალეთს, ჩვენც ყველა ის უფლება და შეღავათი მოგვეცი, რაც საფრანგეთს მიეცითო. სხვადა-სხვა ხელ-შეკრულობის ძალით ჩვენც გვეკუთვნის ხსენებული უფლება და შეღავათიო. ამბობენ, რომ ინგლისიც მიუდგება სამთა კავშირის სახელმწიფოებსაო.»

ყველაზე საკვირველი ისაა, ოსმალეთის მეგობარი გერმანიის იმპერატორი რამ გააჩუმა ასე? გაჩუმებას ვინ ჩივის: თუ ზემო მოხსენებული ცნობა მართალი გამოდგა, ჩანს ისიც ოსმალეთის მტრებში გარეულა და ისიც რადაცას ითხოვს ოსმალეთს. ესეთია ეხლანდელი მეგობრობა.

✡ მეორეს მხრივ განა შესაბრალისია ოსმალეთის მთავრობა? რაც მოუვა, ყველა თავისი ჭკუით მოუვა. თითქმის ხუთასი წელიწადია, რაც ევროპასთან აქვს საქმე, მაინც ვერაფერი ვერ ისწავლა ევროპისაგან; ჯარისა და იარაღის გარდა, იქაური ვერაფერი ვერ შეიშვნია, ახლო არ მიიკარა. ისევ ის წესები აქვს, როგორიც ხუთასი წლის წინად ჰქონდა. ისევ ის თომაა, ისევ ის ტყავი აცვია. ყურანის მეტი დღესაც არა სწამს რა. ჭკვიანი ხალხი, განათლებული ოსმალები, დასასრულ—ახალგაზრდა ოსმალთა დასი დაჟინებით ურჩევენ ოსმალეთის მთავრობას—რეფორმები მოახდინე, ევროპიული წესები შემოიღე, კონსტიტუცია, პრესისა, ლაპარაკის და კრების თავისუფლება დააწესე; მაკედონიას, ალბანიას & სომხეთს თვითმართველობა მიანიჭეო, მაგრამ დღემდე ვერა შეასმინეს რა ჯიუტ მთავრობას; უცხო სახელმწიფოებიც, ნამეტნავად ინგლისი, გულწრფელად ურჩევდნენ: მარტო ჯარით ვერ წახვალ იოლასაო, უსათუოდ ევროპიული წესებიც უნდა შემოიღო, რაც დაპყრობილი ერები გყავს, ყველას შეღავათი უნდა მისცეო, მაგრამ ოსმალეთის მთავრობამ შეაგდო ქვა და შეუშვერა თავი: არავის ყური უგდო. მაინც, როგორც სჩანს, განათლებულ ოსმალებს გული არ გასტეხიათ და დღესაც ცდილობენ, რომ მთავრობას საჭირო რეფორმები მოახდენინონ. გაზეთს «ტაიმს»-ს სწერენ:

«ბოლოს დროინდელმა ამბებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ოსმალეთის ხალხზე. ერთმა უმაღლესმა მოხელემ, ხონთქრის სასახლეში კარგად მიღებულმა, ამ დღეებში ხონთქარს ქაღალდი მიართო. მოხელე სწერს ამ ქაღალდში, რომ, თუ ეხლანდელი წესები არ შეიცვალა, ოსმალეთი დიდ განსაცდელში ჩავარდება და ხალხი მთლად აჯანყდებაო».

სრული ჭეშმარიტება უთქვამს გონიერ მოხელეს. როგორც აქამდე სწირა, ისე ვეღარ სწირავს ოსმალეთის მთავრობა და თუ გონიერი ხალხის რჩევა არ შეისმინა, თითონაც დაიღუპება და ოსმალეთსაც დაჰღუპავს. ახიც იქნება და შებრალებითაც არავის არ შეებრალება.

სამხრეთ-აფრიკა. ყველგან, მთელ ქვეყანიერებაზე ბრძოლაა, მაგრამ ისეთი თავგანწირული, გმირული ბრძოლა, როგორიც სამხრეთ-აფრიკაშია, არსად არ არის. ყველა ბური გმირია და იმათი სარდლები ხომ ნამდვილი დევ-გმირი არიან. გაზეთ «როსია»-ს სწერენ ლონდონიდან:

«ტაიმს»-ს ატყობინებენ სამხრეთ-აფრიკიდან: მორიცის რაზმი კაპშტადს ახლო, სულ 50 მილის მანძილზე მოქმედებსო. ამას გარდა წინადაც ეწერა გაზეთებში და ეხლაც სწერენ, მორიცის რაზმი კაპშტადს ახლო ინგლისელების ბანაკს დაეცა და იქ ბევრი ცხენი ჩაიგდო ხელშიო. ეს ამბავი ლონდონშიაც მოუვიდათ თურმე, მაგრამ დღემდე არ გამოუქვეყნებიათო.

ეს მორიცი ამას წინად შეიჭრა კაპის კოლონიაში. სულ ახალგაზდა კაცი ყოფილა: 25 წლისაა. ნამდვილი მოსული ყმაწვილიაო: «ხმა და რიხი როსტომს უგავს, ტანადობა ტარიელსა». მორიცი კაპის კოლონიიდანაა, მაგრამ დიდი ხანია, რაც ორანჟეს რესპუბლიკაში გადასახლებულა და იქაური მოქალაქეობა მიუღია. პირველად 1899 წელსვე, სვიონსკოპთან ბრძოლის დროს გამოიჩინა თავი. ამბობენ, ლორდ რობერტსის ერთად ერთი შვილი, ლეიტენანტი რობერტსი მორიცმა მოჰკლა თავის ხელითაო. გაზეთები აქებენ მორიცს: ძლიერ მოხერხებული, გაბედული სარდალიაო.

✡ ამას წინად ლორდ კიტჩენერმა ორჯერ ახსენა დევეტის სახელი. როგორაც სჩანს, სამხრეთ აფრიკის შავარდენს ისევ დაუწყია თავისებური ნავარდობა. კიტჩენერის დეპეშიდან სჩანდა, რომ დევეტს ჰეილბრონთან ინგლისელი პოლკოვნიკი ვინთი დაემარცხებინა: ამ შეტაკების დროს ინგლისელები მეტი მოუკლავთ და დაუჭრიათ, სინამ ბურები. კიტჩენერი იწერებოდა, დევეტი ორანჟეს რესპუბლიკიდან გავდევნეთო, მაგრამ ეტყობა, რომ ეს ტყუილი უნდა იყოს, რადგანაც ჰეილბრონი, სადაც დევეტი ინგლისელებს დასცემია, ორანჟეს რესპუბლიკაში მდებარეობს. ერთის სიტყვით, ხმა, გა-

ფელეტონი

უცხოეთის წვრილმანი

(დასასრული*)

ერთად ერთი საშუალება კომედიის ორგანიზაცია-გაცოცხლებისათვის ის იყო, რომ ადმინისტრატორის უფლება სხვა ნიადაგზედ ყოფილიყო დაყენებული. ადმინისტრატორი საზოგადოების ინტერესის დამცველი უნდა ყოფილიყო და არტისტების კონტროლიორი. ჟიულ კლარეტიმ კი ეს ვერ მოახერხა და მეტად სუსტად ეპყრობოდა არტისტებს. მისი პირადი ნაკლი კი ორგანიზაციის სისუსტედ მიიღეს და იარაღის სიჩლუნგედ ის, რომ იარაღის ხმარება არ იცოდა ამ ადმინისტრატორმაო. საჭირო იყო ადმინისტრატორის შეცვლა და არა მთელის ორგანიზაციის მოსპობა და დარღვევაო. დეკრეტი კაცის ღირსება ნაკლულევანებას ვერ შესცვლის და ის კი შეიძლება მოახდინოს, რომ უიმისოდაც არეულ-დარეული საქმე ამ თეატრისა დაღუპვის გზაზედ დააყენოსო. შეიძლება შეცდომებიც ჰქონდა „კომიტეტს», მაგრამ ჟიულ კლარეტის მაგალითები სწორედ წინააღმდეგს ამტკიცებენო. საზოგადოდ არა-თუ მე, მთელის საფრანგეთის საუკეთესო მწერლები და კრიტიკოსები უკმაყოფილონი არიან ამ ახალის რეფორმითა და გვაშინებს საერო თეატრის მომავალიო.“

ეჭვი არ არის უფრო ღრმად უნდა ვეძიოთ «საფრანგეთის თეატრის“ საქმეთა გაცუდების მიზეზი, ვიდრე მის ორგანიზაციის ნაკლულევანებაში. ზემოხსენებულ „ანკეტში“ ცნობილმა ახალგაზდა მწერალმა ჰანრი ბერანჟემ განაცხადა, რომ «ამა თუ იმ დაწესებულებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ყოველივე აზრთა მიმართულებაზედ არის დამყარებულიო. ვინც იმას ჰფიქრობს, რომ „საფრანგეთის კომედიის“ ჩვეულებებსა და კომიტეტებს აქვს რაიმე გავლენა საფრანგეთის დრამატიულის ხელოვნების ევოლიუციაზედ, ისიც შეუძლია იფიქროს, რომ ზღვის ჰიებსა და ლოკოკინებსა აქვს გავლენა ზღვის ღელვაზედა და ქარიშხალზედო“. სწორედ ამ აზრთა მიმართულებაში უნდა ვეძიოთ დრამატიულის ხელოვნების დაცემის შესუსტების მიზეზი. დრამისა და ტრაგედიის წყარო დაშრეტილია, იმ დრამისა და ტრაგედიისა მაინც, რომელიც ჩვენ ვიცით. კორნელისა და რასინის ტრაგედიებს, შექსპირის ტრაგედიებს დღევანდელი ცხოვრება ველარ შეჰქმნის, მისთვის მასალა გამოლეულია, ის ატმოსფერა აღარ არსებობს, რომლითაც სცოცხლობდა ამგვარი ფორმა ლიტერატურის ნაწარმოებისა. დღევანდელის საზოგადოების გრძნობა-გონება უფრო რომანის და პატარა მოთხრობების მთხოვნელია და კიდევაც ამ გვარი ლიტერატურა მეფობს ამ დროში. თანაც მუსიკალური დრამა, ოპერა, რომელიც უმეტესობისათვის უფრო სასიამოვნოა და უმცირესობისათვის უფრო ბევრის, საიდუმლო და გაურკვეველის გრძნობების აღმძვრელი, უფრო იზიდავს დღევანდელ საზოგადოებას. შექსპირის დრამებს დიდის ხელოვნების არტისტი სჭირია, რაიცა იშვიათია, ჩვეულებრივად წარმოდგენილი კი არავის ეინტერესება. ახალის მწერლების დრამები საკითხველად უფრო სასიამოვნოა, ვიდრე სცენაზე სანახავად. საუკეთესო დრამები იბსენისა „ბრანდი“, „პერ-გინცი“, რომელიც უფრო ფილოსოფიური ლირიზმია დიალოგიურის ფორმით, სცენაზე თითქმის არც კი იდგმება. როსტანის დრამები მეტად ნაციონალურია და საფრანგეთს გარეშე, უცხო ენაზე ნათარგმნი, სრულიად ჰკარგავს თავისს ღირსებებსა და მნიშვნელობას. ჰაუპტმანიც უფრო ფსიხოლოგიურ დიალოგებსა სწერს, ვიდრე დრამას, იმას რასაც ჩვენ დრამას ვეძახით. შესაძლოა ისიც, რომ დრამა ახალ გზას იკვლევდეს, ახალ ელემენტებს იძიებდეს და კიდევაც მოიპოვოს და ხელ-ახლად აჰყვავდეს დრამატიული ხელოვნება—შეიძლება იბსენი, ჰაუპტმანი, როსტანი არ იყვნენ დრამის უკანასკნელის სიტყვის მთქმელნი, მაგრამ ისიც შეიძლება. რომ მუსიკალურმა დრამამ (მაგალითად, ვაგნერის მუსიკალური დრამები) დაიჭიროს დრამის ადგილი.

—

ეხლა ხანს გარდაცვლილი ემირი ავღანისტანისა ფრიად შესანიშნავი პირი იყო, გაზეთი „ტანის“ სიტყვით:

„ავღანისტანის ემირ აბდურახმანამდის სრულიად შეუმჩნევლად ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ ტახტზე. გარდაცვლილმა ემირმა კი ევროპის ყურადღება მიიპყრო. აბდურახმანის მამა აზფუი ლოთი იყო და სიმთვრალით მოჰკვდა. აბდურახმანმა სამეფო ბიძა მისს აზიმს დაუტოვა და სარდლობას მიჰყო ხელი, რადგან შესანიშნავი მეომარი იყო. ბედმა არ გაუღიმა თავდა-პირველად აბდურახმანს, ისა და ბიძა მისი აზიმი მეორე ბიძამ შერ-ალიმ განაძევა სამეფოდან. ამ დროს აბდურახმანი რუსეთის ერთგულებას იჩენდა და ამიტომაც რუსეთის მიწა-წყალზე დაჰბინავდა. რუსეთის გენერალმა კაუფმანმა სამარკანდში სასახლე მიართ-

---

*) იხ. „ცნობ. ფურც.“ № 1634.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თომ დევეტი გარდაცვლილიყვეს, ცოცხალი ტყუილი გამოდგა.

ამას წინად დოქტორ ლეიდსაც უთქვამს ბერლინში ყოფნის დროს, დევეტი ცოცხალიაო: მარიამობის თვეში დევეტმა თავისი რაზმი ერთს თავის ლეიტენანტს ჩააბარა, თითონ კი სამხრეთ-აფრიკის მიმოსავლელად წავიდა, რომ ბურების სხვა სარდლებს მოელაპარაკებოდა. ამიტომაა, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში დევეტზე აღარა ისმოდა-რაო.

ინგლისი. მთელი ინგლისია და სამხრეთ-აფრიკის ომზე ლაპარაკი. ძლიერ სცდილობს ოპოზიცია და საზოგადოთ ყველა კაცთ-მოყვარე ინგლისელი, რომ ამ უბედურს ომს ბოლო მოუღონ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერასა ჰხდებიან. ინგლისურ გაზეთებში ყოველ დღე სწერენ, ბურებთან ზავი უნდა შეეკრათო და თითონ ზავის პირობებსაც ადგენენ. ჩვენ მოგახსენეთ კიდევ რამდენიმე ამ ნაირი პირობა. ერთი ამ ნაირი ზავის პირობა სამხრეთ აფრიკელ მილიონერს რობინსონსაც შეუდგენია. ერთი პირობა კიდევ ვითომ ბურების დელეგატის ვოლმარანსის შედგენილიაო. ბევრი სხვა პირობებიც იყო, მაგრამ გაზეთებმა უფრო ამ ორ პირობას მიაქცია ყურადღება. ეს ორივე პირობა მოგახსენეთ კიდეც. როგორც სჩანს, ინგლისის მთავრობა არც ერთ მათგანს არ მიიღებს. «ფრანკფურტერ ცაიტუნგა»-ი სწერს:

«ბურების დელეგატმა ვოლმარანსმა გამოუცხადა ჩვენს კორესპონდენტს: თუმცა ინგლისელები არწმუნებიან, მაინც მე არაფერი ზავის პირობაც არ შემიდგენიაო. მართალია ამ დღეებში კრიუგერთან მქონდა ლაპარაკი, მაგრამ ზავზე ხმაც არ ამოგვიღია და საზოგადოთ აქამდე ზავზე ლაპარაკი არა გვქონია. ვიდრე ბრიტანიის მთავრობა იმ აზრისა იქნება, რა აზრისაც სოლსბერიმ და ჩემბერლენმა გამოსთქვეს ამ დღეებში, მანამ ზავზე ფიქრიც კი არ შეიძლება.»

იტალია. ნეაპოლის თვით-მმართველობას მეტად ცუდად მიჰყავდა თავისი საქმე. ეს ხომ ვიცით. ვიცით ისიც, რომ მთავრობამ ამ საქმეზე გამოძიება დანიშნა. ეს გამოძიება სენატორმა სარედომ მოახდინა. ეხლა შინაგან საქმეთა მინისტრს ჯიოლიტის უთხოვნია სარედოსთვის, ნეაპოლის საქველ-მოქმედო საზოგადოებათა საქმეებიც გამოიძიეო, რადგანაც აქაც დიდი ბოროტ-მოქმედება ჰხდებოდა და საზოგადოების ფულს ჰფლანგავდნენო.

შეერთებული შტატები. ამ ქვეყანაში ყოველ ცალკე შტატს თავისი საკუთარი კანონები და საკუთარი კონსტიტუციის წესები აქვს. ალაბამის შტატს ახალი კონსტიტუცია შეუდგენია და იქაურ მოქალაქეებს 20 ხმის უმეტესობით დაუმტკიცებიათ ეს ახალი კონსტიტუცია; ამ ახალი კონსტიტუციის ძალით, ზანგებს 95% პოლიტიკური უფლება არ ექნებათ.

ახალი ამბავი

✦ **ვოინოს სადგომში მოკლული** კოსოვსკაია გუშინ გასჭრეს და აღმოჩნდა, რომ რამდენიმე სასიკვდილო ჭრილობა მიეღო. ექიმების აზრით, მკვლელი ცაცია ყოფილა. თვითონ ვოინო ეხლა უკეთ არის და სრული იმედი აქვთ იმის მორჩენისა.

✦ ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოში 20-მდე კაცი თხოულობს გლდანის ხეობაში სახაზინო ადგილებში **ოქროს მადნის** ძებნის ნებართვას. სამთო წესდების 260 მუხლის ძალით, ხსენებულ სამმართველოს უფროსმა ბ. ბეკმა გამოაცხადა, რომ შემდეგისათვის ამგვარი თხოვნები აღარ მიიღებაო.

✦ გუშინ წმ. მიქელ-გაბრიელობას კადეტთა კორპუსში, იუნკრის სასწავლებელში, რკინის გზის სასწავლებელში და საფერშლო სკოლაში გადაიხადეს პარაკლისები. კადეტთა კორპუსში საღამოს ბალი იყო გამართული.

✦ დღეს, 9 ნოემბერს საღამოს 8 საათზე კავკასიის სამეურნეო საბჭოს სხდომაზედ, სხვა-და-სხვა მიმდინარე საქმეების განხილვის გარდა, მოხდება არჩევანი ტფილისის **საბადოსნო სკოლის** მზრუნველისა.

✦ კვირას, 11 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში მოხდება საზოგადო **კრება** სახალხო კითხვების კომისიებისა. ამ კრებაზე, სხვათა შორის, განხილულ იქნება კომისიების წარსული წლის მოქმედების ანგარიში და ამოირჩევენ ბიუროს წევრებს.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ თავის უკანასკნელ სხდომაზე ღედათა მეორე გიმნაზიაში განთავისუფლებულ **ქალაქის სტიპენდიაზე** 13 ქალს უყარა წილი, რომელიც ხვდა ტფილისის მოქალაქის ქალს მერიც პიჩიკიანცს.

✦ **სახალხო სკოლების ინსპექტორმა** პავლოვმა შეატყობინა ქალაქის თავის მოადგილეს, რომ დიდუბის სკოლის მასწავლებლად დანიშნულმა სედოვამ უარი სთქვა ამ თანამდებობაზე და მის ადგილას დაინიშნა პეტროვა. ამასთანავე პავლოვი სთხოვს გამგეობას დანიშნონ კანდიდატ-მასწავლებლის 3 თავისუფალ ადგილზე მასწავლებელნი.

✦ ტრამვაის უსახელო საზოგადოების დირექტორმა. ბ. რაგოლერმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, შეუდგეს უსახელო საზოგადოებასთან ერთად **ქუჩების მოკირწყვლას**. ამ წინადადებასთან ერთად რაგოლერმა წარუდგინა გამგეობას რუმინელ ინჟენერის მოხსენება ამ საგანზე და შეატყობინა, რომ საზოგადოებას გადაწყვეტილი აქვს რუმინელ ქვით მოკირწყლოს ლიანდაგი.

✦ ქალაქის გამგეობამ დაასრულა **სატრაქტირო გადასახადის** გაწერა. ამ გადასახადიდან ქალაქს უნდა შემოუვიდეს 40.000 მ.

✦ რკინის გზის საქონლის **სადგურზე ტფილისში** შემდეგი **ბოროტ-მოქმედება აღმოუჩენიათ**: სადგურზე მოუტანიათ ორი ყუთი, ვითომ აზიურ ნივთებით სავსე, ბათუმში გასაგზავნად. რადგან ყუთების აწონვის დროს ყურადღება მიაქციეს არა ჩვეულებრივ სიმძიმეს, ჟანდარმების თანადასწრებით გახსნეს ყუთები და აღმოჩნდა, რომ აზიურ ნივთების მაგიერ აგური და ჩალა იყო. ყუთების მომტანი იქვე შეიპყრეს. გამგზავნელის განზრახვა იყო ბათუმში საქონლის მიღების დროს მოეთხოვა რკინის გზისაგან ვითომ დაკარგულ ნივთების ფასი.

✦ ტფილისის **ფოსტა-ტელეგრაფის** ოლქის უფროსმა სთხოვა ქალაქის თავის მოადგილეს განკარგულება მოახდინოს, რომ ქუჩებზე დარგულ ხეებს ტოტები შეაჭრან, რადგან ისინი ტელეფონისა და ტელეგრაფის მავთულებს უშლიან.

✦ კავკასიის **სამეურნეო გაზეთის** რედაქციას გაზეთის გამოცოცხლებისათვის მიუმართავს წერილობით სოფლად მცხოვრებ ინტელიგენტებისათვის— მიიღეთ მონაწილეობა გაზეთში წერილების, კორესპონდენციების და შენიშვნების გამოგზავნითო; ამასთანავე რედაქცია ატყობინებდა მათ, რომ წერილები ადგილობრივ ენებზე დაწერილიც მიიღებაო. აქამდე ამ მოწოდებას არ გაუჭრია.

✦ **„ტფილისის გუბერნიის შესწავლის“** საზოგადოების წევრთა კრებაზე გუშინ წინ მოვიდა სულ სამი კაცი და, რასაკვირველია, არც სხდომა შემდგარა.

✦ ტფილისის **პირუტყვთა მფარველი საზოგადოება** სთხოვს ტფილისის ქალაქის გამგეობას ყოველივე საშუალება იქმნეს ხმარებული არსენალის ქუჩის აღმართის მოსაკირწყლავ-შესასწორებლად, რადგანაც ამ ქუჩაზე ისე ძნელია მოძრაობა, რომ ცალიერ ურმითა თუ ეტლითაც უჭირს პირუტყვს ავლაო.

✦ პოლიციის მე 5 ნაწილის **ბოქაულმა** მისწერა ტფილისის **ქალაქის გამგეობას**: გამომიგზავნეთ ერთი ტეხნიკოსი ხოსროევის სახლის შესამოწმებლად, რადგანაც იგი ძალიან დაზიანებულია და შესაძლებელია რაიმე უბედურება მოხდესო.

✦ **კოჩუბეის ქუჩის მცხოვრებნი** სთხოვენ ქალაქის გამგეობას: საშუალება რამ მიიღე ქუჩის მოსაკირწყლავად და ნახევარი ხარჯი ჩვენ გადაგვახდევინეთო.

✦ ხვალ, 10 ნოემბერს ტფილისის **სამოსამართლო პალატაში** განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები: მიხა გასიშვილისა და ისაკ გოლოშვილისა, რომელთაც კაცის მოკვლა ჰბრალდებათ, და კაზახ კოჩიშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ბრალდება.

✦ 7 ნოემბერს, ტფილისის რკინის გზის სადგურზე **ვაგონების გადაბმის დროს** ნესტორ ბიჩვავამ მარჯვენა ხელის თითები მოაყოლა ვაგონებს შუა და დაიშავა.

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგ. საგირაში 7 ნოემბერს ცენტრალურ სადგურიდამ ისრის უდროოდ გადაგდებისა გამო **ხუთი ცარიელი ვაგონი** გადასცდა რკინის გზის ლიანდაგს.

✦ ბაქოს რკინის გზის სადგურზე 6 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, სამუშაო მატარებლის კონდუქტორი გიორგი ჯანელიძე მატარებლის მოხსნის დროს **მოჰყვა ქვეშ** და იქვე იქმნა გასრესილი. ჯანელიძე გარდაიცვალა.

✦ ბაქოდან გვატყობინებენ, საღამოს $6^1/_2$ საათზე, რკინის გზის სადგურის წინ, ვიღაც ბოროტ-გამზრახველმა **დასჭრა დანით** ადგილობრივი მცხოვრები ნახნულ ახუნდოვი, რომელიც გარდაიცვალა. მკვლელი შეიპყრეს.

✦ პოლიციის მე-6 ნაწილში, აბანოს ქუჩაზე ნახეს ბორჩალოს მაზრის სოფ. ქვეშის მცხოვრები მარკოზ ურუმოვი 35 წლისა, რომელიც უეცრად გარდაცვლილა. გარდაცვალებულის გვამი მიხეილის საავადმყოფოს სანატომიო თეატრში გაგზავნეს.

✦ პოლიციის 1-ნაწილში ვიღაც ბოროტ-განმზრახველს მოუპარავს მოხელის გრიგორიანცისათვის სხვა და სხვა ნივთები, სულ 30 მანეთისა. ქურდობაში ეჭვი არავიზე არ აქვთ.

✦ 6 ნოემბერს პოლიციის მე-9 ნაწილში ევდოკი ბადინოვის სახლი გაუტეხია ვიღაც ბოროტ-განმზრახველს მის შინ არ ყოფნის დროს და გაუტანია 103 მან. ღირებული სხვა და სხვა ნივთები.

† ალექსანდრე წინამძღვრიშვილი

29 სექტემბერს ცხინვალში დაასაფლავეს ახალგაზრდა ალ. წინამძღვრიშვილი, რომლის სიკვდილმა გულწრფელი მწუხარება გამოიწვია მის ნაცნობებსა და მეგობრებს შორის. წინამძღვრიშვილმა დაამთავრა გორის საოსტატო სემინარია და ჰფიქრობდა განეგრძო სწავლა, მაგრამ სიღარიბისა და ავადმყოფობის გამო იძულებული შეიქმნა მშობლებთან ეცხოვრა. ახალგაზრდა წინამძღვრიშვილი სახლში ტყვილად არ იჯდა —მიუხედავად ავათმყოფობისა, იგი ბევრს ჰკითხულობდა, სწერდა ორიგინალურ მოთხრობებს და თარგმნიდა რუსულიდან. მისი ნაწერები იბეჭდებოდა „ივერიაში“ („რა ბრალი ჰქონდა, რა დააშავა“, „ბრძოლა არსებობისათვის“, „ხაზებისა და წერტილების სამეფოდან“, და ნათარგმნები—«ფეხი», „უკანასკნელი ყაჩაღი“, „ტრაღიკული ღამე“, „ბიძია თომას ქოხი“ და „ჟოზეტა მარსენ“).

ვა და 25000 მანეთი პენსია დაუნიშნა. ყველას ეგონა, რომ აბდურახმანის გული საუკუნოდ მოისყიდა რუსეთმაო. თვითონაც ჰფიქრობდა ასე ერთ დროს, მაგრამ თან-და-თან იმ აზრს დაადგა, რომ, თუ ავღანის ემირი უნდა ტახტზე კარგად მოიკიდოს ფეხი, რუსეთისა და ინგლისის სიამოვნებას უნდა ეცადოს და არც ერთი არ გააჯავროსო; უნდა დაარწმუნოს პირველი, რომ ძალაუნებურად უნდა მოუაროს იმ მხარეს, რომლის მმართველობაც ალაჰმა ჩააბარა, ვიდრე ესვე ალაჰი სხვა გვარად არ მოაწყობდეს საქმესაო, ხოლო ინგლისელებს უნდა ჩააგონოს, რომ მისთვის სასარგებლოა ავღანის გაძლიერება, თორემ თუ ავღანის პროვინცია დაიქსაქსა, ამით მარტო რუსეთი ისარგებლებსო. მხნე მეომარმა 1880-იან წლებში გამჭრიახე დიპლომატის სახელიც მოიხვეჭა და ორთავე მეზობელ დიდ სახელმწიფოს (ინგლისსა და რუსეთს) თავი ემირად აცნობა. ამის შემდეგ მეტად არხეინად მეფობდა ემირი. ხანდახან ქვეშევრდომთ ინდოეთის პროვინციებს ჩუმად შეუსევდა ხოლმე. თვით ვითომ არაფერს შუაში იყო და ინგლისს კი უმტკიცებდა, რომ ავღანელებს ომში მხნეობა არ დავიწყნიათო. ინგლისიც კარგად ჰხედავდა, რომ ემირის მეგობრობა საჭირო იყო და დასაფასებელი, ამიტომაც 1893-ში ინგლისის ინდოეთის მმართველმა აბდურრახმანს პენსია მოუმატა: 80.000 მანეთი ასოცი ათასამდე აუყვანა.

ამ ერთის წლის წინად ავღანის სამეფოს სახელმწიფო მდივანმა მირ-მუნჩი-სულთან-მაჰმედ-ხანმა, რომელმაც კემბრიჯის იურიდიულ ფაკულტეტზე მიიღო განათლება, გამოსცა ლონდონში აბდურახმანის ბიოგრაფია. ეს ბიოგრაფია სავსეა ემირის დღიურით. იშვიათად შეხვდებით უფრო საინტერესო რასმე, განაგრძობს ფრანგული გაზეთი, ვიდრე ეს წიგნაკი, რომელიც მშვენივრად გვიხატავს აბდურრახმანის „სულის კვეთებასაო“. ემირი ჭეშმარიტი მაჰმადიანი იყო, რომელიც განათლებას კეთილის თვალით უყურებდა, მაგრამ მაჰმადიანობა მაინც ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი და დიდ ფასსაც აძლევდა თავისს რწმენასაო. ევროპიულს განათლებაში მას, როგორც დიპლომატს და ქვეყნის მართველს, რომელიც ჰხედავს თავისი სამშობლოს მდგომარეობას და ნიადაგ მის უზრუნველ ყოფაზე ჰფიქრობს, ყველაზე უფრო აინტერესებდა ახალი სისტემების თოფ-იარაღი, მაგრამ საზოგადოთ ევროპიულ კულტურის ფასიც ესმოდა და სცდილობდა ევროპის მანქანების მრეწველობა დაემკვიდრებია თავისს ქვეყანაში, რომელშიაც 4 მილიონამდე მცხოვრებია. ამ მხრით საინტერესო ამბავია მოთხრობილი ზემოხსენებულ წიგნში. ემირი ჩააცივდა ერთ-ერთ წევრს სამეფო გვარეულობისას, გინდა თუ არა, შეისწავლე ხარაზობაო, მაგრამ, რასაკვირველია, ევროპიული მაშინის წარმოების შესაფერიო. ძალიან გაუჭირდა აბდურახმანს ბრწყინვალე პრინცის დაჯერება; ბევრი უქადაგა, რომ „ხელით შრომაში არაფერი სასირცხვილო არ არისო“ და მხოლოდ „ავღანელისთანა ბრიყვს“ შეუძლია ასეთი საქმე იუკადრისოსო, პრინცმა თავდაპირველად ძალიან მოიყრუა თავი, მაგრამ დაბოლოს მოუსვენარმა ემირმა თავის ჭკუაზე მოიყვანა და დაითანხმა და მაშინვე ევროპიდან მაშინები გამოიწერა. მეფის წულმა მალე შეისწავლა ხარაზობა და დღეს დღეობით მის ფაბრიკაში რამდენიმე ათასი ფეხსაცმელი კეთდება.“

თვით ემირმა პიანოს აწყობა ისწავლა მშვენივრად, რაიცა იმას მოწმობს, რომ კარგი მუსიკალური სმენა ჰქონდა.

მაჰმადიანი იყო და მტკიცედ დარწმუნებული იყო, რომ ეს ერთად ერთი ჭეშმარიტი სარწმუნოებაა. ემირი თანაც დიდის სარწმუნოებრივის მოთმინებით იყო აღსავსე სხვა სარწმუნოებათა შესახებ.

სასახლის ოფიციალურ ექიმად ითვლებოდა ექიმი ქალი მისს ლილიან ჰამილტონი და ემირს ხშირად ჰქონდა ხოლმე ბაასი ექიმ-ქალთან და უმტკიცებდა თურმე, რომ ქრისტიანები კერპთ თაყვანის-მცემელნი არიანო. ერთ დღეს თავი მომაბეზრა ასეთმა ლაპარაკმაო, მოგვითხრობს ლილიან ჰამილტონი: „რა საჭიროა გაჯავრება, ბატონო ექიმო,—მითხრა ემირმა,—აბა გაისარჯეთ და მომიტანეთ ეს ჩინური ვაზა და აქ დამიდგით ჩემს წინა. ეხლა თქვენ ჩემ პირდაპირ დაბრძანდით და მითხარით, რა არის დახატული ვაზაზე?» „მწვანე ვეშაპია“ ვუპასუხე მე. «სცდებით,—მითხრა ემირმა,—ვეშაპი კი არა, ზღვაა დახატული და შიგ ათასი რაღაც უცნაური მოსჩანს, ჰია, გველი და ათასი კიდევ რაღაც. მომისმინეთ, ექიმო,—განაგრძო მან ღრმად დაფიქრებულმა,—იმ მოვლენათა შორის, რომელიც შეუძლია კაცის გონებამ შეამჩნიოს, ყველას შეუძლია დაინახოს ორივე გვერდი ვაზისა და მაშინ მიხვდეს, რომ ყოველთვის ყალბი წარმოდგენა ექმნება იმ საგანზედ, რომლის მარტო ერთ-მხარესა ჰხედავს“... რამდენ ქრისტიანს აკლია ამ მაჰმადიანის სიწყნარე და ფილოსოფიური შეგნებულება!

К.

კავკასიის გამოფენა

გამოფენის უმთავრეს მომწყობელ კომიტეტის სხდომაზე ლაპარაკი იყო გამოფენის განახლებაზე მომავალ წლის მაისიდან სექტემბრამდე უმრავლესობამ საჭიროდ იცნო ეს განახლება და დაადგინა ეთხოვოს მიწად-მოქმედების სამინისტროს გამოფენის განახლების ნებართვა. ამასთანავე კომიტეტმა მიანდო გამოფენის კომისარს ამ საქმის დაწვრილებით ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა.

**

ამავე სხდომაზე ბ. ფირალოვმა აძრა კითხვა ექსპონანტების გატანის ნებართვაზე. კომიტეტმა ამ კითხვის გადაწყვეტა გადასცა გამგე კომიტეტს სამინისტროსაგან დამტკიცებულ წესდების მე-20 ე მუხლის თანახმად. შემდეგ ლაპარაკი იყო იმაზე, თუ როდის დაურიგონ ჯილდოები ექსპონენტებს. ამ კითხვის განხილვის დროს გამოფენის კომისარმა განაცხადა, რომ გამოფენის დახურვა 20 ნოემბერს არ უნდა გადასცილდეს, რადგან ეხლა ხალხი არ დადის და ხარჯი კი ბევრი მიდისო. კომიტეტმა ამ ორის კითხვის გადაწყვეტა გადასდო შემდეგ სხდომისთვის.

**

ამიერ კავკასიის თევზეულობის საქმის სამმართველო სთხოვს გამოფენის კომისარს თავისა და თევზების სხვა ვაჭრების ექსპონატების გატანის ნება-რთვას 10 ნოემბრამდე, რადგან 15 იანვარს პეტერბურგში დაიწყება თევზეულობის გამოფენა და მონაწილეობის მისაღებად მომზადებაა საჭირო.

**

ამავე სხდომაზე კომიტეტმა უყურადღებოდ დასტოვა შემდეგი თხოვნები: 1) ჩაის პავილიონის პატრონის ბაქრაძისა, რომელიც საპავილიონე ადგილის ქირის (60 მ.) პატიებას თხოულობდა, 2) ცენტრალურ პავილიონის ამშენებლის ბადალოვისა, რომელიც თხოულობდა კუთვნილ 7000 მ.: ამ თხოვნის უარი იმით დაასაბუთა კომიტეტმა, რომ ბადალოვმა თანხმობა გამოაცხადა მომავალ წელს მიიღოს ეს ფული, თუ გამოფენა იქნებაო, და 3) ბუფეტის პატრონის სხირტლაძისა, რომელიც 7000 მანეთს თხოულობდა გამოფენაზე ზარალის გამო.

პრესსა

გაზეთ „კავკაზ“-ის გუშინდელ ნომერში დაბეჭდილია მეტად საინტერესო წერილი ე. კ—ისა. წერილის საგანი „ანანურის საცეცხლეა.“ ავტორის აზრით, „ანანურის ციხის პატარა ეკკლესიის ერთი თაღიანი განყოფილება წარმოადგენს ცეცხლის თაყვანის-მცემელთა სამლოცველოს. უფრო საყურადღებო და ახალია ავტორის აზრი ქართულ არხიტექტურის წარმოშობაზე.

> „ამ პატარა ძეგლს ქრისტეს წინა დროის ხანისას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულ არხიტექტურისა და ეკკლესიების შენების ისტორიისათვის. ამ სამლოცველოს მოწყობილობისა და ფორმის მიხედვით, ჩვენ საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ თაღს გაქრისტიანების წინადაც ხმარობდნენ... ამასვე გვაფიქრებინებს ჩვენ ქართულ დარბაზის ძველი ფორმაც: როგორც ვიცით, დარბაზის თაღი თავდება სანათურით—«გვირგვინით», რომელიც გუმბათის პირვანდელ ფორმას მოგვაგონებს. ძველისა და კრიტიკაში გაუტარებელ ჩვეულების მიხედვით, უცხოელი და რუსის არქეოლოგები როცა ქართულის სტილის ეკკლესიის პროტოტიპზე ლაპარაკობენ, ბერძნულ სტილს უჩვენებენ. ნამდვილად კი ქართულ და ბერძნულ სტილის დამოკიდებულების გამორკვევისათვის, ყურადღება უნდა მიექცეს არსებით საკითხს—ჰქონდა თუ არა ქართულ ეკკლესიას პროტოტიპი ადგილობრივ, წინანდელ რელიგიურ შენობებში. თუ ქრისტეს წინა დროის ძეგლებს მივმართავთ, ჩვენ ვხედავთ, რომ „ათეშგა“-ს—საცეცხლეს (ცეცხლის თაყვანის-მცემელთ სამლოცველოს) შეეძლო იმ მზა ფორმის წარმოდგენა, რომელმაც ბიზანტიურ ხუროთ-მოძღვრების შემწეობით შექმნა ქართული ეროვნული სტილი. მართლაც ქრისტიანულ ეკკლესიას საქართველოში დახვდა მზა ხელოვნური ნიმუშები—„საცეცხლეები“: ხელოვნების ნაწარმოები არ წარმოადგენს არსებულ წრესთან რამე შეუფერებელს, დაშორებულს—იგი ჰარმონიაა არსებულ წრესთან. ამიტომაც ქართული საეკკლესიო ხუროთ-მოძღვრება ყველაზე უწინ საქართველოს ისტორიულ და კულტურულ ცხოვრების ნაყოფია“.

გარდა გარეგან ფორმისა, ავტორს ისტორიული საბუთებიც მოჰყავს თავის აზრის დასამტკიცებლად.

> „ჩვენი მამანი ებრძოდნენ ცეცხლის თაყვანის ცემას და ძველ სამლოცველოების ადგილზე აშენებდნენ ახლებს ან ისევ ძველ შენობებს ხმარობდნენ ახალის სარწმუნოებისათვის. მაგალითად, ნინოწმინდის ეკკლესია მე-V-ე საუკუნეში გადააკეთეს ეკკლესიად ძველის კერპთთაყვანის-მცემლების სამლოცველოდან და მან შეირჩინა ძველი ფორმა...“

ისტორია ამტკიცებსო, განაგრძობს ავტორი, რომ

> „ახალი სარწმუნოება სარგებლობს თავის მიზნისათვის იმ ტაძრების მზა ფორმით, რომელიც წინად არსებულ სარწმუნოების მიმდევართ შექმნეს.., ზოროასტრის სარწმუნოების ხუროთ-მოძღვრებამ საქართველოში ადგილი დაუთმო ახალ ქრისტიანულ ხუროთ-მოძღვრებას, მაგრამ ამ უკანასკნელს არ შეეძლო სრულებით უარ ეყო შემუშავებული ფორმები, რომელთაც ხალხი საუკუნოებით შეეჩვია“.

ჩვენის აზრითო, აბოლოებს ავტორი თავის წერილს,

> „შემდეგი ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა ძველ ქართულ საეკკლესიო ძეგლებისა და ხელთნაწერებისა დაამყარებს გენეტიურ კავშირს კერპთთაყვანისმცემლობის დროის საკერპესა და ქრისტიანულ ეკკლესიებ შორის.“.

პროვინცია

ს. საკირე (ახალციხის მაზრა). ამ სოფელს 28 ოქტომბერს აუსრულდა თავისი დიდი ხნის სურვილი. ამ დღეს ბორჯომის ბლაღოჩინმა მ. იოაკიმე გორგაძემ ადგილობრივი სამღვდელოების თანა-მწირველობით აკურთხა წმ. გიორგის სახელზე ახლად აგებული საყდარი. საყდრის კურთხევას ყოველ მხრით, შორეულ ადგილებიდანაც კი, იმდენი ხალხი დაესწრო, რომ მთელს სოფელში ტევა აღარ იყო.

ახლად აშენებული საყდარი ყურადღების ღირსია როგორც თავის სიდიდით, ეგრეთვე ხელოვნობის მხრით. მეტი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ იგი ქალაქს უფრო შეჰფერის, ვიდრე ისეთ მივიწყებულ და მიგდებულ ადგილს, როგორიც არის სოფელი საკირე. როცა ადამიანი ჯერ შიგ საყდარს დაათვალიერებ და მერე გარედან სოფელს გადაჰხედავ, თავი სიზმარში გგონია და ვერ დაგიჯერებია, თუ ამ პაწია სოფელმა გააშენა ეს მშვენიერი გემბერთელა ტაძარი. მრევლი ძლივს თუ ოთხმოცდა-ათი კომლი იქნება და საყდარი კი თავის მოწყობილობით და გალავნით დამჯდარა არა ნაკლებ ათასი თუმნისა. კურთხევის შემდეგ მცხოვრებლებმა ჩამოსულ ხალხს გაუმართეს ნადიმი, რომელმაც სამი დღე და ზოგ ოჯახებში მეტიც გასტანა. ეს უკანასკნელი გარემოება არ არის მოსაწონი, რადგანაც ამ უანგარიშოდ დახოცილ საკლავებმა, იმერეთიდან დიდი გაჭირვებით ჩამოზიდულმა ღვინომ და წლობით მოგროვებულმა პურმა უნაყოფოდ ჩაიარა და ამის ნაცვლად ბევრი რამე სასარგებლო და ჭამა-სმაზე უფრო სასახელო საქმე გაკეთდებოდა. მაგალითად, ამ ხარჯით სულ ადვილად შეიძლებოდა გაკეთებულიყო გზა იმავე სოფლიდან 6 ვერსტის მანძილზე ბორჯომის გზა-ტკეცილამდინ, რომელიც საკირლებისთვის ისე საჭიროა, როგორც ლუკმა პური. ახლა კი ამ გზით მოსიარულეს იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ შინ ცოცხალი მივიდეს. მაგრამ ქართველ კაცს იმიტომაც ჰქვიან ქართველი, რომ ქართველურად ჭამა-სმა უყვარს და თუ ერთი რამე საქმე გააკეთა, დანარჩენ საქმეებზე ქართველურად უზრუნველია.

ვისურვებთ, რომ სხვა სოფლებმა მაინც მეტი წინ-დახედულობა და ცხოვრების უნარი გამოიჩინონ.

ილ. შ—ძე.

ს. გლდანი (ტფილისის მაზრა). კვირას, 4 ნოემბერს ადგილობრივმა მღვდელმა აკურთხა სამლოცველო «ნიში», ძველ კვირაცხოვლის ეკკლესიის ნანგრევებზე, ახლად აგებული წმინდა მოციქ. თომას სახელობაზე. მეთერთმეტე საათზე დაიწყო წირვა. წირვაზე გალობდა ამავე სოფლის სკოლის მოწაფეთა მგალობელთა გუნდი.

წირვის შემდეგ სამღვდელოება ხატებით, ჯვრებით და სკოლის მოწაფეებით გაემართა იმ მოედანზე, სადაც აშენებულია ზემო აღნიშნული «ნიში», და აკურთხა. კურთხევას დაესწრო მრავალი ხალხი. კურთხევის შემდეგ მღვდელმა მ. ი. ანდრონიკაშვილმა წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც საფუძვლიანად აუხსნა ხალხს მნიშვნელობა ეკკლესიებისა და სამღვდელოების ზნეობის წარმატებაში. განუმარტა ხალხს ფრიად კეთილი აზრი და შრომა ზემო-აღნიშნული ნიშის ამშენებლებს ბბ-ნ კ. ნ. აქიმოვისა. დენ. ნ. ზ. აქიმოვისა და ქ-ნ ე. დ. აქიმოვისა, რომელთაც არ დაიშურეს პირველმა შრომა და უკანასკნელთ—ფული.

ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ამშენებელი ამ ქართველთა სამლოცველო ნიშისა სომეხია. თუმცა წინათ ეს ადგილი ქართველებისა ყოფილა და მიუყიდნიათ სომხისთვის, ბ-ნმა კონ. ნიკ. აქიმოვმა არ გამოსწირა ქართველებს ეს ძველი ეკკლესიის ნანგრევები და აუგო სამლოცველო ნიში და მომეტებული ფული სხვათა შეწირულების გარდა თითონ დახარჯა, რისთვისაც ბ-ნი კ. ნ. აქიმოვი ღირსი არის პატივისცემისა ქართველებისაგან.

ან. ბ—სა

საღამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

8 ნოემბერი.

პეტერბურგი. გამოცხადდა, რომ ქალაქები კონსტანტინეპოლი და ლივერპული 6 ნოემბერს აქეთ შავი ჭირის მხრივ საშიშნი აღარ არიანო. შინაგან საქმეთა მინისტრმა, ეკატერინოსლავის გუბერნატორისაგან წარდგენილი ცნობების თანახმად, გამოაცხადა, რომ სლავიანოსერბსკის მაზრაში ცოტა საკვები სურსათი აქვს ხალხსაო.

ოდესა. საერობო გამგეობამ 12,000 მანეთი გადასდო ღონისძიებათა მისაღებად, თუ ვინიცობაა ოდესის მაზრაში შავი-ჭირი გაჩნდა.

ლონდონი. ვინმე მარინერმა პენრიტიდან ჩემბერლენს წერილი მისწერა და ურჩია, ეცადეთ ის უსიამოვნება გააქარწყლოთ, რომელიც თქვენმა ბოლონდელმა სიტყვამ გამოიწვია გერმანიის ერის ზოგიერთ წრეებშიო. ჩემბერლენმა უბძანა თავის მდივანს ამ წერილის პასუხად მისწერეთ, რომ მე ჩემის მხრივ არაფერ ყურადღებას არ ვაქცევ მაგ გარემოებასაო; და ამასთანავე მწადიან დავამტკიცო, რომ არც ერთს გონიერს გერმანელს არ უნდა სწყენოდა ჩემი სიტყვები, რომ ბრიტანიის მთავრობა ისე იქცევა ტრანსვაალში, როგორც სხვა სახელმწიფოები მოიქცეოდნენ ამისთანავე პირობებშიო.

ლონდონი. ლონდონის სადამოჟნო მოხელეებმა დაიჭირეს ერთი გემი, რომელსაც წარსულ ოთხშაბათს მგზავრები უნდა წაეყვანა გასასეირნებლად. გემს ელექტრონის რეფლექტორი ჰქონდა და ამაზე ყურადღება მიაქციეს; ამბობენ, დამოჟნის მოხელეებმა გემზე 4 ზარბაზანი, ნახშირი და გვარჯილა იპოვესო; ამას გარდა იპოვეს ხორცის კონსერვი, გამხმარი პური და სხვა ნივთები, რომლებიც სრულებით საჭირო არ იყო სეირნობისათვის. გემი ისე იყო გამართული, რომ 500—600 კაცს დაიტევდა. არწმუნებიან, მოხელეებმა დაამტკიცეს, რომ ეს გემი ებერდინის ნავთსადგურზე იყო მიწერილი და ჰამბურგში აპირებდა წასვლასაო. როგორც ამბობენ, შკიპერს ბრძანება დაბეჭდილ კონვერტით მოჰსვლოდაო.

ლოძი. თუმცა აქ ფულის შოვნა, მეტად გაძნელებულია, მაინც საფეიქრო ქარხნებში ძალიან კარგად მუშაობენ. დამზადებული საქონელი კარგად საღდება.

ნიუ-იორკი. სავაჭრო პალატაში ნადიმის დროს გარეშე საქმეთა მინისტრმა გეიმ შეერთებული შტატების პოლიტიკაზე ილაპარაკა და სთქვა, რომ ამერიკა მონროეს დევიზით ხელმძღვანელობსო, მაგრამ ამასთანავე სამხრეთ-ამერიკაში ქვეყნების შეძენას სულაც არა ჰფიქრობსო. გეიმ შემდეგ სავაჭრო ხელშეკრულობებზე ილაპარაკა და სთქვა: ამერიკა ყველა სახელმწიფოების დამეგობრებას ცდილობს და ყველა ერებთან აღებ-მიცემობის გამართვას ეტანებაო. რაც უნდა ძლიერი იყოს ამერიკა, მაინც არას დროს არ მოექცევა სასტიკად არც ერთს ერს, მარტო იმ საბუთით, რომ ეს ერი სუსტიაო. მეორეს მხრივ, ამერიკა უგუნურ და უსინიდისო კრიტიკის შიშითაც არას დროს არ აწყენინებს და არ გამოეკიდება რომელსამე დიდ სახელმწიფოს იმ საბუთით, რომ ეს სახელმწიფო ძლიერია და სირცხვილი იქნება შევშინდეთ და პასუხი არ გავცეთო.

ჰააგა. «რეიტერის სააგენტომ» გაიგო, რომ საერთა შორისო სამედიატორო სასამართლომ დღეს დაადგინა, სასამართლოს არ შეუძლიან ბურების თხოვნა მიიღოსო. ბურები სთხოვდნენ სასამართლოს, სამხრეთ-აფრიკის საქმეში შუამავლობა გასწიეო.

სევასტოპოლი. ოსმალეთში კავკასიიდან გადასახლებულები დაბრუნდნენ აქა და ლაპარაკობენ, რომ იქ მეტად დიდ გაჭირვებაში ვცხოვრობდითო.

ტამბოვი. სოფ. სოკოლსკაში, 4 ნოემბერს ღამით, საშინელი ბოროტ-მოქმედება მოხდა,—მთელი ოჯახი ამოწყვიტეს: მოხუცებულ დედას, 24 წლის ვაჟი-შვილს და ორ გასათხოვარ ქალს ერთ ოთახში სძინებოდათ და ყველანი ერთად დაეხოცათ. ბოროტ-მოქმედების მიზანი—გაძარცვა ყოფილა. ხალხი ჰფიქრობს, რომ ამ საქმეს კატორგიდან გამოქცეული ჩერნიკოვი იქმოდაო. გამოძიებას შეუდგნენ.

პარიზი. საფრანგეთის ელჩი კონსტანი კონსტანტინეპოლში წავიდა.

ლონდონი. სამხედრო სამინისტრომ, როგორც ამბობენ, გარდასწყვიტა, აქაურ ჯარის რიცხვს მოუმატოს. ბევრს ახალ ბატალიონ მილიციას აგროვებენ ინგლისსა და შოტლანდიაში.

რედაქტორი ალ. ჭყონია. გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 2 ნოემბერს

ვექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ზე	93,75	
ბერლინზე 100 მარკაზე	45,95	
პარიზზე 100 ფრანკზე	—	
ლონდონზე ჩეკები	94,70	
ბერლინზე „	[illegible],30	
პარიზზე „	37,65	
ბირჟის დისკონტი	5½—7%	
4% სახელმწიფო რენტა	96⅛	გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	100	
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	94⅜	
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	470½	„
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	346	მყიდვ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	245	გაყიდ.
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	88	
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—	„
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	„
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	—	
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—	
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—	

Дозволено цензурою. Тифлисъ. 8 Ноября 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.